

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს
ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებების გამგეთა თანამდებობების დასაკავებლად**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს აცხადებს ღია კონკურსს 5 წლის ვადით ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებების გამგეთა ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. გამოთვლითი მეთოდების განყოფილების გამგე (1 საშტატო ერთეული),
2. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილების გამგე (0.5 საშტატო ერთეული),
3. ინფორმატიკის განყოფილების გამგე (0.5 საშტატო ერთეული),
4. მათემატიკური მოდელირების განყოფილების გამგე (0.5 საშტატო ერთეული).

I. განცხადებების მიღებისა და კონკურსების ჩატარების ვადები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის დეტალური დამატებითი მოთხოვნები, კონკურსანტის განცხადება, კონკურსანტის ანკეტა, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულება) გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე micm.gtu.ge. განცხადებების მიღება იწარმოებს მისამართზე - თბილისი, გრიგოლ ფერაძის ქუჩა, №4, 2018 წლის 15-16 ოქტომბერს, 11⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე, ოთახი #202.
2. განყოფილებათა გამგეების ვაკანტური თანამდებობების კონკურსანტ(ებ)თან გასაუბრება და კენჭისყრა ჩატარდება 2018 წლის 18 ოქტომბერს. კენჭისყრის შედეგები სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოცხადდება კენჭისყრის დასრულებისთანავე, გამოიკვერება ინსტიტუტში თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე micm.gtu.ge. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები სამეცნიერო საბჭოში მიიღება 23 ოქტომბრის ჩათვლით 16 საათამდე.
3. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატურებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს.

II. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:
ინსტიტუტის განყოფილების გამგედ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.
2. კონკურსის დამატებითი პირობები განთავსდება ვებ-გვერდზე micm.gtu.ge.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) უნდა წარმოადგინოს:
ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები იხილეთ ვებ-გვერდზე micm.gtu.ge), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);

ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);

გ) სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;

დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;

ე) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

ვ) 2 ფოტოსურათი, 3x4.

III. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების და ინსტიტუტის დებულების შესაბამისად (იხილეთ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე).
2. სამეცნიერო საბჭოს მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
3. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.